



საქართველოს განათლების მეცნიერებათა სოციალურ მეცნიერებრივი აკადემია
Public Academy of Educational Sciences of Georgia



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ თ ს
განათლების მეცნიერებათა

GEORGIAN
CHRONICLES OF EDUCATION



მადალო
ქნა
საინდაუნობა



Motherland
Language
Faith





„ღმერთი სიყვარულია“ - ამ ჭეშმარიტებით ცხოვრება დაუსახა მიზნად
ერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-
თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის
მიტროპოლიტმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ.
წარმოდგენილი წიგნი - „საქართველოს განათლების მატეანე“ ეძღვნება
თითოეულ მათგანს, ვინც სიყვარულით ემსახურა ქართული განათლების
აღორძინებასა და განვითარებას 20 საუკუნის მანძილზე.



“GOD IS LOVE” is the truth which His Holiness and Beatitude Ilia II, the
Catholicos-Patriarch of All Georgia, the Archbishop of Mtskheta and Tbilisi,
the Metropolitan of Tskhumi and Abkhazia has set as a life-goal for the whole
nation of Georgia. This book - “Chronicles of Education in Georgia” - is dedicated
to each and everyone having served with loving care the progress and the
development of education in Georgia over a period of 20 centuries.



მეცნიერ-კონსულტანტი:
საქართველოს ეროვნული
აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი,
აკადემიკოსი როინ მეტრეველი

მთავარი რედაქტორი:
აკადემიკოსი ნათელა ვასაძე

ქართული ტექსტის რედაქტორი:
პროფესორი ლუბა ბიბილეიშვილი

ინგლისური ტექსტის რედაქტორი:
პროფესორი ნათელა დოღონაძე

Chief Consultant and Reviewer:
ROIN METREVELI
Academician
Vice-president of National Academy of
Sciences of Georgia

Editor-in-chief:
NATELA VASADZE
Academician

Editor of the Georgian Text:
LUBA BIBILEISHVILI
Professor

Editor of the English Text:
NATELA DOGHONADZE

„საქართველოს განათლების მათიანის“ შემდგენელთა ჯგუფი:

1. **ვასაძე ნათელა** – აკადემიკოსი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი – ჯგუფის ხელმძღვანელი;
2. **ასათიანი ავთანდილი** – პროფესორი, პედაგოგიკის დოქტორი;
3. **ბალანჩივაძე რევაზი** – პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი;
4. **ბასილაძე იმერი** – პროფესორი, პედაგოგიკის დოქტორი;
5. **ბიბილეიშვილი ლუბა** – პროფესორი, პედაგოგიკის დოქტორი;
6. **იამანიძე ინეზა** – პროფესორი, პედაგოგიკის დოქტორი;
7. **კარანაძე თამაზი** – პროფესორი, პედაგოგიკის დოქტორი;
8. **მალაზონია დავითი** – პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი;
9. **მალაზონია შოთა** – პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი;
10. **თატიშვილი თამაზი** – განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

Team of Authors of „Chronicles of Education in Georgia“:

1. **VASADZE NATELA** – Academician, Doctor of Pedagogical Sciences – leader of the team;
2. **ASATIANI AVTANDIL** – Professor, Doctor of Pedagogy;
3. **BALANCHIVADZE REVAZ** – Professor, Doctor of Philological Sciences;
4. **BASILADZE IMER** – Professor, Doctor of Pedagogy;
5. **BIBILEISHVILI LUBA** – Professor, Doctor of Pedagogy;
6. **IAMANIDZE INEZA** – Professor, Doctor of Pedagogy;
7. **KARANADZE TAMAZ** – Professor, Doctor of Pedagogy;
8. **MALAZONIA DAVID** – Professor, doctor of Historical sciences;
9. **MALAZONIA SHOTA** – Professor, Doctor of Philological Sciences;
10. **TATISHVILI TAMAZ** – Member of Academy of Educational Sciences.

შინაარსი

თავი I. ქართული განათლება საუკუნეებს ითვლის	19
თავი II. ხალხური პედაგოგიკის სიბრძნე	39
თავი III. ქართული სამოციქულო ეკლესია და ახალგაზრდობის აღზრდა-განათლება	55
თავი IV. ქალთა განათლება საქართველოში	75
თავი V. სახალხო განათლება და პედაგოგიკური იდეები XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში	91
თავი VI. ქვეყნის დამოუკიდებლობა, ახალი ეპოქა და საქართველოს სკოლა	116
თავი VII. უმაღლესი განათლება საქართველოში	148
თავი VIII. საქართველოს განათლება და მეცნიერება	180
თავი IX. გლობალიზაცია და ეროვნული სკოლა	201
გამოყენებული ლიტერატურა	211
მიმართვა მკითხველს	215
ინგლისური თარგმანი	217
ფოტოალბომი	387

CONTENTS

Chapter I. Education in Georgia: Centuries-old History	219
Chapter II. Wisdom of Popular Pedagogy	236
Chapter III. Georgian Apostolic Orthodox Church and Education of Young Generation	253
Chapter IV. Education of Women in Georgia	269
Chapter V. Public Education and Pedagogical Ideas in the 19th and the Early 20th Centuries	282
Chapter VI. Independence of the Country, New Era and School of Georgia	303
Chapter VII. Higher Education in Georgia	331
Chapter VIII. Georgian Education and Science	356
Chapter IX. Globalization and National School	372
Bibliography Cited	381
Address to Reader	385
Photo Album	387



ჩემ წინ „საქართველოს განათლების მათიანის“ ხელნაწერია გადაშლილი... მეცნიერთა დიდი შრომის, რუდუნების, გამოწვლილვითი კვლევის შედეგი. მაგონდება XIII საუკუნის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არსენ ბულმაისიმისძის ხიხათა ერისთავის აბუსერისძისადმი მიწერილი სიტყვები: „...ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყველი, გამომაჩინებელი აღმწერლისაი საუკუნოდ, რომელისამე საქებელყოფად, ხოლო სხვისა განქიქებად უმცერებისა“. **მატიანე** საისტორიო ჩანაწერთა კრებულია. ეს ტერმინი „ბიბლიის“ უძველესი ნუსხებიდანაა ცნობილი, მოხსენიებულია „ქართლის ცხოვრებაშიც“. არსებობდა „მატიანენი საალაპენი“ (საალაპე ჩანაწერები), მონასტრებში „სულთა მათიანეები“ იქმნებოდა. გვიან (დაახლ. XVI-XVIII სს.) ტერმინი „მატიანე“ ყოველგვარი საისტორიო ცხოვრების აღმნიშვნელად იხმარებოდა.

წინამდებარე „საქართველოს განათლების მათიანე“, ჩვენი აზრით, არის საქართველოს განათლებისა და პედაგოგიკური აზრის ისტორიის წარმოჩენის წარმატებული ცდა. წიგნში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული პედაგოგიკურ და ფსიქოლოგიურ მეცნიერებებს, ნაჩვენებია, რომ ეს დარგები განათლების განვითარებისა და, ამასთან, განათლების სისტემის მეცნიერული მართვის საფუძველს წარმოადგენენ.

საქართველოს განვითარების საფუძველი მისი სულიერებაა, რომელიც ოცი საუკუნეა ქრისტიანულ რწმენას ეყრდნობა. სწორედ ქართულმა სამოციქულო ეკლესიამ შეამტკიცა ერი. იყო პერიოდი, როცა „ქართველი“ და „ქრისტიანი“ სინონიმებად აღიქმებოდა. წიგნში ხაზგასმულია, რომ ქართული ენა უნიკალური მაღალგანვითარებული ფენომენია, რომ მომავალში, როგორც X საუკუნის ქართველ ჰიმნოგრაფს იოანე ზოსიმეს აქვს აღნიშნული – ქართული ენით აღესრულება ჭეშმარიტებათა სააშკარაოზე გამოტანა:

„და ესე ენაჲ,
შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა,
მდაბალი და დაწუნებული -
მიეცის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასა“.


„მატიანის“ შემდგენელთა ჯგუფის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ სხვადასხვა საკითხის გაშუქებისას ზედმიწევნით გაითვალისწინეს წინაპართა ნააზრევი და ამ გზით არაერთი საინტერესო დებულება მოგვცეს; ყურადღება აქვს დათმობილი მემკვიდრეობითობის პრინციპს, რაც მომავალი თაობის განვითარებასა და სრულქმნას ემსახურება. წიგნის ფუძემდებლური პარადიგმაა - განათლების სისტემა გამორჩეულად უნდა სცემდეს პასუხს ეროვნულ ინტერესებთან თანხმობაში მყოფ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს. „მატიანეში“, ისტორიული ეპოქების გათვალისწინებით, ქრონოლოგიური თანამიმდევრობითაა გადმოცემული ოცსაუკუნოვანი ქართული საგანმანათლებლო ტრადიციები.

„მატიანე“ მრავალმხრივი სამეცნიერო-პუბლიცისტური ნაშრომია და გარკვეულად ენციკლოპედიურ ხასიათს ატარებს. აშკარად ჩანს დიდი შრომა შემოქმედებითი ჯგუფისა. უთუოდ ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ წიგნი ორ ენაზე (ქართულად და ინგლისურად) გამოდის. ამდენად, იგი მნიშვნელოვანი იქნება არაქართველი, საქართველოსა და მისი განათლებისა და კულტურის ისტორიით დაინტერესებული მკითხველებისთვისაც.

ვიმედოვნებ, რომ „საქართველოს განათლების მათიანე“ მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ჩვენს ცხოვრებაში და კულტურული საზოგადოებრიობის სამაგიდო წიგნად იქცევა.

როინ მეტრეველი





The printout of the “Chronicle of Education in Georgia” lays open in front of me – the result of relentless toil and profound research of scholars. I remember the words of Arsen Bulmaisimisdze, the XIII century Catholicos patriarch of Georgia written to Abuseridze, prince of Khikha (Adjara): “...any written monument is expressive, bringing the writer for the judgment of future centuries – either to be praised or criticized due to his ignorance”. A chronicle is a set of historical records. This term, known from the ancient originals of the Bible, is also mentioned in “Kartlis Tskhovreba”. The word “chronicle” figured in such notions as the “Chronicles of Funeral Repasts”. The “Chronicles of the Passed away” were kept at the monasteries. Later (approximately in the XVI-XVIII centuries) the term “chronicle” was already used to determine any kind of historical life.

As for the present “Chronicles of Education in Georgia”, it is, to our mind, a successful attempt to present the history of education and pedagogical thought in Georgia. Special attention is paid to the sciences of pedagogy and psychology with the indication that those fields make the basis for the development of education and the scientific management thereof as of the system.

The development of Georgia is based on its spirituality which has been guided by the Christian faith. It was the Georgian Apostle Church that managed to consolidate the nation. There was a period when “Georgian” and “Christian” were synonyms. The book emphasizes that the Georgian language is a highly developed phenomenon and, according to Ioané Zosimé, a Georgian hymnographer of the X century, it will be the Georgian that the truths will be stated in:

“And this language,
embellished and blessed by the name of the Lord,
humbled and rejected now,
anticipates the Second Advent of the Lord”.

It should be said to the credit of the team of authors that, while treating various questions, they thoroughly considered the thought of ancestors and offered a number of interesting propositions as a result. Special attention has been paid to the principle of continuity which serves the development and perfection of the generations to come. The basic paradigm of the book is as follows: the system of education should correspond to the universal values in conformation of the national interests. The “Chronicles” present, in consideration of historical epochs, the 20-century-old Georgian educational traditions in chronological order.

The “Chronicles” is a multilateral scientific-publicistic work bearing a certain encyclopedic character. Clearly visible is the hard work of the team of authors. Of significance is the fact that the book will be published in two languages (Georgian and English). Hence, it will be important for the non-Georgian readers interested in our country and the history of education and culture thereof.

I hope the “Chronicles of Education in Georgia” will rank high in our life and become a desk book for the educated community.

ROIN METREVELI



რედაქტორის წინათქმა

ქვეყნის წარსულის ცოდნა, მისი ობიექტური ანალიზი და სიღრმისეული წვდომა აწმყოსა და მომავლის გააზრების აუცილებელი პირობაა.

კაცობრიობის ცივილიზაციის ხანგრძლივ და რთულ გზაზე განათლება იყო და არის ქვეყნის, სახელმწიფოს სოციალურ-კულტურული მდგრადობის საფუძველთა საფუძველი, მისი შეუფერხებელი განვითარების საზომი.

განათლების ისტორიის რთული თეორიული და პრაქტიკული საკითხების კვლევა პედაგოგიკური მეცნიერების პრეროგატივაა. ეს კვლევა ადასტურებს, რომ განათლების სისტემა - სკოლამდელი აღზრდა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, უმაღლესი განათლება, განათლების უმაღლესი მწვერვალი - მეცნიერება - ერთი მთლიანი სფეროა.

ქვეყნის, მისი ხალხის განათლების ისტორიის ცოდნა გვარწმუნებს, რომ ცივილიზაციის ხანგრძლივ და რთულ გზაზე სახელმწიფოს წარმატების ერთ-ერთი უტყუარი საზომი განათლებაა. ამიტომაცაა, რომ ყველა კულტურული ერი საფუძვლიანად იკვლევს თავისი განათლების ისტორიას, სწავლობს მისი აღმასვლისა და დაქვეითების მიზეზებს.

ქართული პედაგოგიკური მეცნიერების სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ იგი ყოველთვის საგანგებოდ იკვლევდა საქართველოს განათლების ისტორიას, მოზარდი თაობის აღზრდისა და სწავლების, მისი სულიერი, ფიზიკური ფორმირებისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მომზადების პრობლემებს. მათი შესწავლა და ანალიზი ნიადაგ განპირობებული იყო საკვლევე პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარებით.

სამეცნიერო-პუბლიცისტური ნაშრომი „საქართველოს განათლების მათიანე“, რომელიც განათლების მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემიის გადაწყვეტილებით შეიქმნა, ფაქტობრივად, პირველი ნაშრომია, რომელშიც ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, წლების, საუკუნეებისა და პრობლემების შესატყვისადაა წარმოდგენილი უმდიდრესი ქართული საგანმანათლებლო ტრადიციები, მისი ფესვები, ქართული განათლების ოცსაუკუნოვანი გზის თავისებურებანი.

წიგნი გარკვეულწილად ენციკლოპედიური ხასიათისაა, ამიტომაც იგი სასარგებლო იქნება როგორც მკითხველთა ფართო წრისათვის, ისე, განსაკუთრებით, განათლების ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის.

„მატიანის“ მიზანია, წარმოაჩინოს განათლებისა და ქართული პედაგოგიკური აზრის განვითარების ისტორიის მთლიანი სურათი, საქართველოში უძველესი დროიდან არსებული განათლების ისტორიის სისტემატური და კანონზომიერი განვითარების ეტაპები, რაც, ვფიქრობთ, სათანადო წვლილს შეიტანს ქართული კულტურის წინსვლაში.

განათლების მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემიის წევრებიდან შერჩეულმა ჯგუფმა მიზნის მიღწევის კონკრეტული გზა დაისახა და ნაშრომზე ერთობლივი პასუხისმგებლობა იტვირთა. ამგვარი მიდგომის საფუძველი მოგვცა თითოეული მემათიანის მიერ მეცნიერული კვლევისა და განათლების დარგში ხანგრძლივი პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებამ.

ჭეშმარიტებაა, რომ მომავალი თაობის განვითარებისა და სრულქმნის პროცესი უპირობოდ უნდა ეყრდნობოდეს მემკვიდრეობითობის პრინციპს, რაც, ბუნებრივია, ეროვნული ინტერესებისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ღრმა პატივისცემას გულისხმობს.

შემდგენელთა ჯგუფმა მიზნად დაისახა ჩვენი წინაპრების უმდიდრესი ნააზრვის, პედაგოგიკური იდეების შემოქმედებითად გააზრება და დღევანდელობის სამსახურში ჩაყენება. მომავალი წარსულის გარეშე არ არსებობს. დიდი ილია ამბობს: „კაცი, რომელსაც არ ახსოვს თავისი წარსული, ჰგავს იმ მაწანწალას, რომელმაც არ იცის საიდან მოვიდა და საით მიდის“. ამდენად, ისტორიული გამოცდილების შესწავლა-გაანალიზებით მიიღწევა წარმატება და მოხერხდება უკეთესი მომავლის შექმნა.





შემდგენელთა ჯგუფმა პრობლემათა თანამიმდევრული შესწავლით ბევრ საინტერესო ფაქტს მიაკვლია. ამ ძიებაში სრულად წარმოჩნდა ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის განსაკუთრებული ღვაწლი ქართული ენის, ქართული სკოლის განვითარების, ჩვენი ეროვნული მეობის გადარჩენის, მომავალი თაობის ქვეყნის ერთგულ მამულიშვილებად აღზრდის მხრივ.

ოცი საუკუნის მანძილზე დაგროვილი სახელმწიფოებრივი და საგანმანათლებლო გამოცდილება, ფაქტები, მათი წარმოქმნის მიზეზები, ერის სულიერი მამებისა და საზოგადო მოღვაწეების ნააზრევი, ისტორიული პროცესების ურთიერთკავშირი დაედო საფუძვლად „მატიანის“ მტკიცებულებას, თუ რით იყო გამოწვეული ქართველთა მისწრაფება განათლებისაკენ. ქართველების ისეთი თვისებები, როგორებიცაა ტოლერანტობა, ერთგულება, მშვიდობიანი თანაარსებობა, საგანმანათლებლო ტრადიციების, ქართული კულტურისა და ადათ-წესების პატივისცემა, მომავალი თაობის აღზრდა-განათლების, მეცნიერების განვითარების გზების ძიება საქართველოს ფარგლებს გარეთაც და მრავალი სხვა, რაც სრული ჩამონათვალი არ არის, შეძლებისდაგვარად აისახა ამ წიგნში.

პრობლემათა წარმოჩენამ „მატიანის“ შემდგენელთა ჯგუფს საშუალება მისცა რეალურად განესაზღვრა ქვეყნის განვითარებაში განათლების უმაღლესი მწვევრვალის - მეცნიერების როლი.

ყველა მეცნიერება განათლების ორგანული ნაწილია, მაგრამ ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ პედაგოგიკურ და ფსიქოლოგიურ მეცნიერებებს - განათლების დარგის მეცნიერული მართვის ძირითად საფუძვლებს.

ამ წიგნში ნაკლები ყურადღება დავუთმეთ მოვლენათა შეფასებებს, მივიჩნიეთ, რომ ეს მათიანის ფუნქცია არ არის. ცხადია, ეს არ ნიშნავს თავად ისტორიული ჟამთააღმწერის, მასში განათლების დანიშნულების უგულებელყოფას. თავი შევიკავეთ, აგრეთვე, XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოს განათლების სისტემაში შექმნილი ვითარების შეფასებისაკენ. ჩავთვალეთ, რომ იგი მკვლევართა შემდეგი თაობის პრეროგატივაა. თუმცადა, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ განათლებამ უპირობოდ უნდა დაიბრუნოს ისეთი ტრადიციული ფუნქციები, როგორიცაა აღზრდა, აღმზრდელობითი სწავლება, დარგის მეცნიერული მართვა; გაითვალისწინოს წარსული, იფიქროს განათლების ეროვნულობაზე.

წინამდებარე ნაშრომში, აგრეთვე, განხილულია განათლების მდგომარეობა ქვეყნისათვის განსაკუთრებულად რთულ და წინააღმდეგობებით სავსე პერიოდში - საქართველოს პირველი დამოუკიდებლობის მოპოვების, მისი დაკარგვის, საბჭოური ეპოქის, მისი ნგრევისა და დამოუკიდებლობის აღდგენის დროს.

რთული აღმოჩნდა ამჟამად უარყოფილი საბჭოური სკოლის საქმიანობის წარმოჩენა. ვფიქრობთ, ავტორებმა შეძლეს ამ სირთულის დაძლევა, როდესაც ხაზი გაუსვეს განათლების ერთგვარ კონსერვატიულობას.

XX საუკუნის 80-იან წლებში, დაწყებული „რკინის ფარდის“ მსხვრევისა და გლობალიზაციის პროცესების გააქტიურების გამო, განათლების სფერო თვისობრივად ახალი რეალობის წინაშე დადგა. აუცილებელი გახდა მისი სრული რეფორმირება, რაც ძალზე რთული აღმოჩნდა. მას ეროვნული სკოლისათვის სასურველი შედეგი ჯერჯერობით ვერ მოაქვს.

„საქართველოს განათლების მათიანის“ შემდგენელთა ჯგუფმა იხელმძღვანელა ილიასეული შთაგონებით - „მამული, ენა, სარწმუნოება“, წიგნის სიმბოლოდ კი „დედაენის“ ძველი შეარჩია. „მატიანე“ მიემდგინა თითოეულ იმ პიროვნებას, ვინც სიყვარულით ემსახურა ქვეყნის განათლების წინსვლასა და განვითარებას ოცი საუკუნის მანძილზე.

გვსურს მკითხველმა იცოდეს ისიც, რომ „საქართველოს განათლების მათიანე“ ორენოვანია. იგი ინგლისურადაა თარგმნილი. საზღვარგარეთის თითქმის არც ერთ ქვეყანაში დღემდე არ არსებობს წიგნი, რომელიც ასე დაწვრილებით გადმოსცემს ქართული განათლების მრავალსაუკუნოვან ისტორიას.





საგულისხმოა ისიც, რომ „მატიანებზე“ მუშაობა შემდგენელ ჯგუფს მოუხდა ქვეყნისათვის რთულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაში, თავად განათლების სისტემაში შექმნილ ისეთ გარემოებაში, როდესაც წარსულისადმი პატივისცემა, მისი ცოდნა და გათვალისწინება დემოკრატიული ქვეყნის აღმშენებლობის მოთხოვნად იქცა, ხშირად კი შეხსენების აუცილებელ პირობადაც.

ჩვენი ღრმა რწმენით, წიგნი დიდად შეუწყობს ხელს როგორც ქართველ, ისე უცხოელ მკითხველს, გაეცნოს ამ უძველესი კულტურის მქონე ერის განათლების წარსულს, გაიგოს და გაითავისოს მის მიერ მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში შეტანილი წვლილი.

განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით უნდა აღვნიშნოთ იმ ადამიანების დიდი დამსახურება, ვინც თავისი რჩევით, მასალების მოწოდებით, საინტერესო შენიშვნებით მუშაობის სტიმულს გვაძლევდა, ხოლო წიგნის გამოცემას ეროვნულ საქმედ მიიჩნევდა.

გულწრფელ მადლობას ვუხდით ჯგუფის მეცნიერ-კონსულტანტს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, აკადემიკოს როინ მეტრეველს, რომელმაც გაგვაბედინა ესოდენ რთულ და საბასუსისმგებლო საქმესთან შეჭიდება.

შემდგენელთა ჯგუფი უდიდესი პასუხისმგებლობით, სიფრთხილითა და მონდომებით შეეცადა ღირსეულად შეესრულებინა დასახული მიზანი. ბუნებრივია, ფაქტებისა და მოვლენების ჩვენეული შეფასება საზოგადოებრიობის მიერ ერთგვარად არ იქნება აღქმული. მოველით პრობლემებით დაინტერესებულ პირთა ობიექტურ რეაგირებას, წიგნში გამოთქმული დებულებების სწორ შეფასებას, რისთვისაც წინასწარ ვიხდით უღრმეს მადლობას.

ნათელა ვასაძე





EDITOR'S PREFACE

One should know the past of one's country and make objective analysis and profound investigation thereof in order to be able to sense its present and future.

Throughout the long and hard way of the civilization of the mankind, education has been the cornerstone of social and cultural strength of a country or a state, the measure of its unimpeded advance.

The investigation of complicated theoretical and practical issues of the history of education is the prerogative of pedagogical sciences. Such investigation proves that the educational system - preschool education, secondary school, higher education and science, the summit of education, - is a single whole sphere.

The knowledge of the history of education of a country and of the people thereof makes us believe that education has been one of the faultless measures of the success of a state throughout the long and hard way of the civilization of the mankind. That is why every civilized country tries to thoroughly investigate the history of its education and study the reasons of its ups and downs.

It should be said to the credit of Georgian pedagogical science that it has carried out special researches of the history of education in Georgia, of the problems of upbringing and teaching the younger generation, its spiritual and physical formation and preparation for public life. Studying and analyzing the above have always been performed against the background of social, economic and political situation of the period under research.

The scientific and publicistic work the "Chronicles of education in Georgia", developed by the resolution of the Public Academy of Educational Sciences of Georgia, is actually the first book presenting the richest traditions of education in Georgia as well as its roots and the peculiarities of the 20-century way of Georgian education in chronological order, by years, centuries and problems.

To some extent this book is of encyclopedic character; therefore we are completely certain that it will prove useful for the general public and especially for the specialists interested in the issues of the history of education.

The "Chronicle" aims at presenting the exhaustive picture of the history of education and of the development of Georgian pedagogical thought, the stages of systematic and logical development of the history of education in Georgia since ancient times, which, we believe, will make a meaningful contribution to the progress of Georgian culture.

The team selected from the membership of the Public Academy of Educational Sciences of Georgia charted a concrete course to accomplish the purpose and undertook a joint responsibility. Such approach was based on a long experience of practical working in the field of scientific research and education of each of the team members.

It is an indisputable truth that the process of development and improvement of future generation should unconditionally be based on the principle of heredity which naturally implies the solid respect for universal values in consent with national interests.

The team of authors set the goal to creatively consider, interpret and place at the service of today the richest thought and the pedagogical ideas of our ancestors. "A man not remembering his past," Ilia



Chavchavadze says, “resembles a trump who does not know where he has come from or where he is going to”. Hence, studying and analyzing the historical experience is an essential condition for achieving success and creating a better future.

As a result of consecutive study of the problems, the team of authors revealed lots of interesting facts. The research has manifested the particular merit of Georgian Orthodox Apostolic Church in the salvation of Georgian language, Georgian school and our national identity as well as in the upbringing of future generations to become ardent patriots of their country.

The state and educational experience accrued during 20 centuries, the facts, the reasons for arising thereof, the accomplishments of concrete individuals and the interconnection between existing circumstances and historical stages became the basis in composing the “Chronicles” and investigating the reasons of the thrive of Georgians for education - such traits of national character as tolerance, loyalty, peaceful coexistence, respect for educational traditions, for Georgian culture and customs, seeking the ways of upbringing and education of future generation and the development of science outside Georgia and many others which is not the full list whereas Georgian education has centuries-old history and its deep roots are cherished with the inexhaustible wisdom of popular pedagogy.

The presentation of the problems allowed the team of the “Chronicles” to realistically determine the role of science - the summit of education - in the development of a country.

Any field of science is an integral part of education, yet we gave particular attention to the pedagogical and psychological sciences as the basis for scientific management of the field of education.

We advisedly abstained from the evaluation of events having decided that this was not a function of the Chronicles, which certainly does not mean to disclaim the flow of time and the purpose of education therein. This decidedly does not imply ignoring the role of education in the history. We similarly refrained from the evaluation of the situation in the educational system of Georgia of the early XXI century, considering it to be the prerogative of the chroniclers of the next generation. Yet, we emphasize that education should unconditionally involve such traditional functions as upbringing, educating, teaching and managing of the field, besides it should consider the past and think of the national content of education.

This study also offers the review of the condition of education in the period which was particularly difficult for the country and full of contradictions: the first gaining of the independence, the losing thereof, the Soviet epoch, its collapse and the restoration of independence.

We found it difficult to present the activities of the Soviet school which is rejected now. We believe the authors managed to overcome the difficulty having emphasized certain conservatism of education.

As a result of the activation of the processes of falling of the iron curtain and the globalization, started in the 1980s, the sphere of education faced a qualitatively new reality. It compulsorily required a total reform, which turned out too difficult, and it hasn't yielded the welcome results yet.

The team of authors of the “Chronicles of Education in Georgia” followed the great Ilia Chavchavadze's motto “Motherland, Language, Faith” and chose the monument to “The ABC Book” as the symbol of the book. The Chronicles are dedicated to each and everyone having served with a loving care the progress





and development of education in Georgia over the period of 20 centuries.

We would like the readers to know that the “Chronicles of Education in Georgia” is a bilingual book – Georgian with an English translation. No book or full information about education in Georgia has been available in foreign countries up to now.

Noteworthy is that the team of authors had to work on the “Chronicles” under a heavy economic and political situation for the country, under the situation within the system of education when the respect for the past, the knowledge and consideration thereof became the demand for the formation of a democratic country, while often – sine qua non to remind.

We do not doubt that the book will greatly promote both Georgian and foreign readers to get familiarized with the past of the education of the nation of ancient culture and understand the significance of its contribution to the treasury of world civilization.

We would like to express a special gratitude to the major contribution of the people who encouraged us to work by giving advice or remarks and providing materials and considered the publication of the book to be a matter of national significance.

We sincerely thank academician Roin Metreveli, Vice-president of the National Academy of Sciences of Georgia who urged us on undertaking such a difficult and responsible work.

And, we would like to let you know that the team of authors manifested a great responsibility and care and strained every effort to achieve the target suitably. It is only natural that our estimation of the facts and events may not be taken identically by the public. We look forward to the objective responses of the people interested in the problem and their proper evaluation of certain provisions offered in the book for which we in advance express our gratitude.

NATELA VASADZE

